

თეოფანე დავითაიას სახელობის

ქ.ფოთის #1 საჯარო სკოლის

მე-9 კლასის მოსწავლე

ანანო ალანია (15 წლის)

წერილი ევროპელ თანატოლს - დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

მოგესალმები ევროპელო თანატოლო, მე საქართველოდან ვარ, ლამაზი ქვეყნიდან. ქვეყანიდან, რომელიც უკვე მრავალი წელია ცდილობს განვლოს თავისუფლებისკენ სავალი გზა. მინდა მოგიყვე იმ ისტორიის შესახებ, რომელსაც ჩვენ, დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებული თაობა, ყოველდღიურად ვატარებთ გულში. წარსულში ჩაგახედებ და დაგარწმუნებ, რომ ჩემი ერი მებრძოლია, რომელსაც უკეთესი მომავალი სურდა და სურს.

ჩვენი ქვეყნის ისტორია თავისუფლებისთვის ბრძოლითაა სავსე. დამოუკიდებლობის სურვილი ქართველ ხალხს საუკუნეების მანძილზე თან სდევდა. უკანასკნელ პერიოდში კი ამ გზამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. საქართველოს გზა დამოუკიდებლობისკენ არ ყოფილა მარტივი. საბჭოთა კავშირის დაქვემდებარებაში გატარებული ათწლეულები მხოლოდ ფიზიკური დამოუკიდებლობის არყოფნას კი არა, არამედ თავისუფალი აზრის, სიტყვისა და სარწმუნოების შეზღუდვასაც ნიშნავდა. 1918 წლის 26 მაისი, სწორედ ამ დღეს, გამოცხადდა პირველად საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ჩემო მეგობარო, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ბევრმა არ იცის თუ რა დიდი ტკივილი გამოიარა ჩვენმა წინაპარმა, ხალხმა, რომელმაც ძალა არ დაიშურა საქართველოს გამარჯვებისთვის. მათ დიდი ბრძოლა გამოიარეს და დაგვიტოვეს ღირსეული თარიღი 26 მაისი. ერში ღრმაჭრილობები გაჩნდა, მაგრამ მაინც წინ მიიწევდა. დიახ, განვაგრძეთ ეს გზა, გვიყვარდა, ვზრუნავდით, ვუვლიდით იმ ადგილებს, სადაც ჩვენი ფესვები იყო, ჩვენი მიწა-წყალი. ასეთი დამოუკიდებულება გამოხატავს პატივისცემას და მადლიერებას იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც სოცოცხლე საფრთხის ქვეშ ჩაიგდეს. ამიტომაც ვზეიმობთ 26 მაისს, რადგან ქართველებს არ დაგვჭირდება თავისუფლების სიტყბო და ცვდილობთ, რომ შევინარჩუნოთ იგი.

1989 წლის 9 აპრილი, დღე, როდესაც მშვიდობიან მიტინგს ტანკებითა და მხუთავი აირებით უპასუხეს, იყო გარდამტეხი მომენტი. ამ დღეს დაიღუპნენ ადამიანები, რომლებიც მხოლოდ თავისუფლებას ითხოვდნენ. 1991 წელს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, რეალური დამოუკიდებლობა ბრძოლით მოდის, და ჩვენ ამ გზაზე ჯერ კიდევ ვართ.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანამ ურთულესი წლები გამოიარა: ომები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ათასობით დევნილი, მძიმე ეკონომიკური კრიზისი, კორუფცია, შიში და გაურკვევლობა. თუმცა სწორედ ამ გამოწვევებმა გაგვაძლიერა და გაგვზარდა. დღეს საქართველოში გაზრდილი თაობა უკვე სხვაგვარად უყურებს მომავალს. ჩვენ უფრო თავისუფლად ვფიქრობთ, ღირებულებებს ვაფასებთ და ცვდილობთ, საკუთარ თავში ვიპოვოთ თავისუფლება, ის, რაც არ მოდის მხოლოდ ფიზიკური დამოუკიდებლობით. ამ სირთულეებმა გზა გაუხსნა ახალ კითხვას: რას ნიშნავს იყო ნამდვილად თავისუფალი?

ამ კითხვაზე პასუხის ძიებისას ხშირად გვახსენდება დიდი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „**მამული, ენა, სარწმუნოება**“. ეს სამი სიტყვა დღესაც გვახსენებს, რომ თავისუფლების არსი არა მხოლოდ ფიზიკურ დამოუკიდებლობაში,

არამედ ღირებულებებშია. მამული, ნიშნავს ქვეყნის სიყვარულს და პასუხისმგებლობას მის წინაშე. ენა, ჩვენი იდენტობის ხერხემალია, რომელიც გვაერთიანებს. სარწმუნოება კი, თავისუფალი რწმენისა და ღირსების ქონაა, რაც სხვა ადამიანების პატივისცემასაც გულისხმობს.

მე და ჩემი თანატოლები ვართ თაობა, რომელმაც ეს სიტყვები ახლებურად გაიაზრა. ჩვენთვის დამოუკიდებლობა მხოლოდ პოლიტიკური სტატუსი არ არის. თავისუფლება ნიშნავს აზრის, სიტყვის, არჩევანის, იდენტობისა და სარწმუნოების თავისუფლებას. თავისუფლება ნიშნავს, რომ სკოლაში შეგვიძლია ისწავლოთ კრიტიკული აზროვნება, გვქონდეს ჩვენი ხმა და ვიმოქმედოთ. გარდა ამისა, ახალგაზრდებს გვეძლევა საშუალება მონაწილეობა მივიღოთ საზოგადოებრივ პროცესებში, ჩავერთოთ მოხალისეობაში, დავგეგმოთ პროექტები, გავაპროტესტოთ უსამართლობა.

დღეს საქართველო დამოუკიდებელია, მაგრამ სრულფასოვან დამოუკიდებლობამდე ჯერ კიდევ არის გზა, რომელსაც ჩვენ უნდა გავუძღვეთ. დიახ, სწორედ ჩვენ, მომავალ თაობას უნდა შეგვეძლოს იმის გააზრება, რომ გვაქვს შესაძლებლობა ეს ქვეყანა შევცვალოთ, ვიცხოვროთ უფრო ბედნიერად, ამიტომ დღესაც იბრძვის ერი. გვინდა ვიყოთ ევროპის, მსოფლიოს სხვა ხალხების ნაწილი. უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ საქართველო იყოს არა მხოლოდ დამოუკიდებელი სახელით, არამედ რეალურად ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ აქვს დიდი ისტორია. საუკუნეების მანძილზე ბევრ ქვეყანას დაუდგა წინ და მიუხედავად ტკივილისა, მაინც ფეხზე დგას. 26 მაისი არის სიმბოლო ერისთვის, ჩემთვის, ხალხისთვის. ჩვენი მიზანია, რომ ეს დამოუკიდებლობა რეალურად შევინარჩუნოთ ჩვენი ქმედებებით, საქმით, განათლებით და სიყვარულით. თუ დღევანდელი თაობა, შენ, მე და ჩვენი მეგობრები არ შევისწავლით საქართველოს ისტორიას, არ დავიცავთ ენას მტრისგან, მომავალში შეიძლება ჩვენი სამშობლო საფრთხის ქვეშ დადგეს. მაგრამ მჯერა, რომ ქვეყანა უკეთესობისკენ გაიხედავს და იგი გახდება მსოფლიოს ისეთი ნაწილი, რომლისთვის თავისუფლება, ტოლერანტობა ყოველთვის ძვირფასი იქნება.

საქართველო თანდათან უახლოვდება ევროპულ ღირებულებებს, თავისუფლებას, თანასწორობას, სამართლიანობას, მრავალფეროვნებას. ჩვენ ვსწავლობთ დემოკრატიას, ვგრძნობთ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას და ვესწრაფვით საზოგადოების იმგვარად ფორმირებას, როგორიც გვინდა, რომ გვქონდეს, სამართლიანი და ჰუმანური.

მინდა, რომ შენ, ჩემო ევროპელო მეგობარო, იცოდე, ჩვენი დამოუკიდებლობა ეს არის სურვილი ვიცხოვროთ ღირებულებებით, რომლებიც ჩვენ გვაერთიანებს შენთან. ჩვენ არ ვეძებთ მხარდაჭერას როგორც შემწეს, ჩვენ ვეძებთ პარტნიორობას. გვინდა ვიყოთ შენ გვერდით, როგორც თანაბარი მეგობრები, რომლებიც მომავალს ერთად აშენებენ. და იმედი მაქვს, რომ ერთ დღეს შევხვდებით უკვე როგორც საერთო ოჯახის წევრები, თავისუფალი ევროპის შიგნით.

მადლობა ყურადღებისთვის!

სიყვარულით და პატივისცემით, საქართველოდან,

ანანო ალანია.

By Anano Alania, 9th Grade Student
Theophane Davitaya Public School No. 1, Poti, Georgia

Letter to a European Peer – From Independence to Freedom

Greetings, my European peer,

I am writing to you from Georgia – a beautiful country that has been striving for freedom for many years. A country that has walked a long and difficult road toward independence. I want to share with you a story that lives deep in the hearts of all of us — the generation born in an independent Georgia. I will take you through our past and show you that my nation is a nation of fighters — people who have always longed for and continue to seek a better future.

The history of our country is marked by countless struggles for freedom. For centuries, the Georgian people have yearned for independence. In recent times, this journey has taken on even greater significance. Georgia's path to independence has never been easy. The decades spent under Soviet rule were not just a loss of physical independence, but also a time of suppressed thought, speech, and faith. On May 26, 1918, Georgia was declared an independent state for the first time.

Dear friend, while we now celebrate this day as our Independence Day, few truly understand the immense pain our ancestors endured to win that moment. They fought hard and sacrificed much to achieve that milestone. Though our nation was deeply wounded, we pressed on. Yes — we continued forward, caring for and honoring the places that hold our roots, our land and heritage. This deep connection reflects our respect and gratitude for those who risked their lives for our freedom. That is why May 26 is so meaningful to us — Georgians have never forgotten the sweetness of freedom and are determined to preserve it.

April 9, 1989, was another turning point — a day when peaceful protestors were met with tanks and tear gas. That day, lives were lost — people who only asked to be free. In 1991, Georgia once again declared independence, but this was only the beginning. Real independence comes through struggle — and we are still on that path today.

After gaining independence, our country faced many hardships: wars in Abkhazia and South Ossetia, thousands of internally displaced people, deep economic crisis, corruption, fear, and uncertainty. Yet these challenges made us stronger. Today's generation in Georgia sees the future differently. We think more freely, we value our core principles, and we seek to discover freedom within ourselves — freedom that goes beyond mere political independence. These hardships opened the door to a bigger question: What does it truly mean to be free?

In seeking the answer, we often recall the words of a great Georgian writer and public figure, Ilia Chavchavadze: "Homeland, Language, Faith." These three words remind us that the essence of freedom is not just physical independence, but values. Homeland means loving and taking responsibility for your country. Language is the backbone of our identity — it unites us. And faith is the freedom to believe and to live with dignity, respecting the beliefs of others.

My peers and I are the generation that has come to understand these words in a new light. For us, independence is not just a political status. Freedom means the ability to think, speak, choose, identify, and believe freely. Freedom means being able to learn critical thinking in school, to have our own voice, and to take action. It means being able to participate in civic life, volunteer, create projects, and protest against injustice.

Today, Georgia is independent — but the journey to full and lasting freedom is not yet complete. It is up to us, the younger generation, to understand that we have the power to shape this country and make

it a better place to live. Our nation still fights today. We want to be part of Europe, part of the global community. We want Georgia to be not only an independent state by name, but a truly strong and sovereign country.

Georgia is a small nation with a great history. Over the centuries, it has faced many adversaries, yet it still stands. May 26 is a symbol for our people, for me, and for all Georgians. Our mission is to protect and preserve our independence through action, education, and love. If we — today's youth, you, me, and our friends — do not study our history and defend our language from harm, then one day, our homeland might be in danger. But I believe our country will look toward a brighter future and become part of a world where freedom and tolerance are cherished.

Georgia is steadily embracing European values — freedom, equality, justice, and diversity. We are learning about democracy, embracing civic responsibility, and striving to build the kind of society we want — one that is just and humane.

I want you, my European friend, to know that our independence is driven by a desire to live by the values that unite us with you. We are not seeking help as beneficiaries — we seek partnership. We want to stand beside you as equal friends, building the future together. And I hope that one day, we will meet as members of the same family — within a free and united Europe.

Thank you for your attention!

With love and respect from Georgia,

Anano Alania